

**კავკასიის უნივერსიტეტის
„სკოლის მართვის ორგანოს (სკოლის საბჭო) შემადგენლობაში სტუდენტის შერჩევის წესი“**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტის სკოლის მართვის ორგანოში - სკოლის საბჭოს შემადგენლობაში სტუდენტთა წარმომადგენლის შერჩევის წესს (შემდგომში – წესი) კონკურსის გზით.

მუხლი 2. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. კონკურსის მიზანია სკოლის საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლის შერჩევა, კანდიდატისათვის დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. კონკურსის ამოცანაა კანდიდატის (სტუდენტის) აკადემიური მოსწრების, დისციპლინის, სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, კონფერენციებში მონაწილეობის ინტენსივობისა და შედეგიანობის, პიროვნული თვისებების შეფასება და ვაკანტური ადგილის მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრა.
3. კანდიდატი აუცილებლად უნდა იყოს კავკასიის უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი.

მუხლი 3. კონკურსის პრინციპები

კონკურსის პრინციპებია:

- ა) ობიექტურობა - კონკურსის პროცედურები უნდა იყოს არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხოს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა;
- ბ) გამჭვირვალობა – გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა კანდიდატისთვის;
- გ) საჯაროობა – კონკურსის პროცედურასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები და კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის;
- დ) კოლეგიურობა – კონკურსი უნდა ჩაატარდეს და ვაკანტური ადგილის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შესაბამისი კანდიდატის შერჩევა უნდა განხორციელდეს ამისთვის სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ;
- ე) კორექტულობა – კონკურსის ჩატარების ფორმები და მეთოდები, დასმული შეკითხვები უნდა იყოს კორექტული, საკონკურსო კომისია უნდა იყოს კეთილგანწყობილი და არ ახდენდეს კანდიდატზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

მუხლი 4. კონკურსის გამოცხადება

1. სკოლის საბჭოში სტუდენტთა წარმომადგენლის ვაკანტური ადგილი შეივსება კონკურსის საფუძველზე. კანდიდატს (სტუდენტს) განცხადების წარსადგენად ეძლევა არანაკლებ 5-დღიანი ვადა კონკურსის გამოცხადების დღიდან.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს კავკასიის უნივერსიტეტის ვებ გვერდზე cu.edu.ge-ზე, რის შესახებაც ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ უნივერსიტეტის მიერ სტუდენტისთვის შექმნილ ელექტრონულ ფოსტაზე.
3. კონკურსის შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
 - ა) კონკურსის წესით დასაკავებელი ვაკანტური ადგილის დასახელება;
 - ბ) კანდიდატის (სტუდენტის) მიმართ წაყენებული მოთხოვნები;

- გ) სკოლის საბჭოს უფლებამოსილების შესახებ ზოგად ინფორმაციას;
 - დ) განცხადებისა და სხვა აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადა.
4. კანდიდატის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება განაცხადების მიღების დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა

1. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა ხდება შესაბამის სკოლაში.
2. ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატმა (სტუდენტმა) უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) სამოტივაციო წერილი;
 - ბ) სასკოლო ან/და საუნივერსიტეტო აქტივობაში, კონფერენციებში მონაწილეობის დასახელება და ჩამონათვალი.

მუხლი 6. კანდიდატის შერჩევის პროცედურა

1. კონკურსს ატარებს ამისთვის სპეციალურად შექმნილი დროებითი საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.
2. საკონკურსო კომისიას აყალიბებს სკოლის დეკანი. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან სკოლის დეკანი, სკოლის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დირექტორი/კოორდინატორი, სკოლის არანაკლებ ერთი აკადემიური პერსონალი. სხდომას თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი.
3. კომისია განიხილავს თითოეულ განცხადებას. კონკურსი შედგება 2 ეტაპისაგან: პირველ ეტაპზე ხდება კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა. ასევე, თითოეული კანდიდატი ფასდება წინამდებარე დოკუმენტის 2.2. მუხლში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით. შემდეგ ეტაპზე შეირჩევა ის კანდიდატები, რომლებთანაც ხდება გასაუბრება.
4. კომისია კანდიდატს შეარჩევს აკადემიური მოსწრების, სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მონაწილეობის ინტენსივობისა და შედეგიანობის, პიროვნული თვისებების შეფასებისა და გასაუბრების გზით.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ინფორმაციის კანდიდატებისთვის მიწოდებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 7. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები

1. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
2. გასაუბრების ეტაპზე გადასულ ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე. უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე დოკუმენტის 2.2. მუხლში მითითებულ გარემოებებს და ამასთან, არის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წევრი. 3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და დამსწრე კომისიის წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

5. კომისიის გადაწყვეტილების შედეგად შერჩეული პირი ხვდება სკოლის საბჭოს შემადგენელ პირთა სიაში, ხოლო სკოლის საბჭოს შემადგენლობას, დეკანის წარდგინებით, ამტკიცებს უნივერსიტეტის პრეზიდენტი.
6. შერჩეული სტუდენტი ხდება სკოლის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი, რომლის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) აკადემიური წლის ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სტუდენტს კავკასიის უნივერსიტეტში ამ ვადის გასვლამდე შეუჩერდება ან შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. ასევე, თუ სტუდენტი რაიმე გაუთვალისწინებელი მიზეზით, ვერ ახერხებს საკუთარი მოვალეობის შესრულებას, სკოლა იტოვებს სტუდენტის გადარჩევასა და სხვა სტუდენტის შერჩევის უფლებას წინამდებარე წესით დადგენილი პირობების შესაბამისად.
7. სკოლის საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები და სხვა დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სკოლის დებულებით.

მუხლი 8. შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის პროცედურულ დარღვევებთან, მის საჯაროობასთან და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული პრეტენზიების არსებობის შემთხვევაში, კანდიდატი უფლებამოსილია წერილობითი განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტს სასწავლო დარგში.
2. თუ კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საჩივარი იქნება დასაბუთებული და არგუმენტირებული, ვიცე-პრეზიდენტი საკითხს განსახილველად გაიტანს აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომაზე.
3. კომისიის სხდომის შედეგებზე სხდომის ოქმის გაფორმება და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება აკადემიური კეთილსინდისიერებისა და დისციპლინის დაცვის მუდმივმოქმედი კომისიის დებულებით.
4. კომისია აფასებს კონკურსის პროცედურულ საკითხებს, მისი მიმდინარეობის საჯაროობასა და გამჭვირვალობას, რის შემდეგაც ადგენს, რომ:
 - 4.1. კონკურსი ჩატარდა ყველა წესის დაცვით და გადაწყვეტილება ძალაში რჩება; ან
 - 4.2. ადგენს ხარვეზს და სკოლის დეკანს განუსაზღვრავს ვადას კონკურსის თავიდან ჩატარებისთვის - ასეთ შემთხვევაში, კონკურსის გამოცხადება თავიდან აღარ ხდება, არამედ საკონკურსო პროცესი გაგრძელდება იმ ეტაპიდან, რომელსაც კომისია განსაზღვრავს.
5. კომისიის გადაწყვეტილება არის საბოლოო.